პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი

მეათედის შეწირვით მიღებული კურთხევები

ღმერთის მიზანი არის, ჩვენი კურთხევა, ჩვენთვის მცნებების მოცემით. მას სურს, რომ გვაჩუქოს ყველაზე ძვირფასი და დიდი ძღვენი, მარადიული სიცოცხლე (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 14:7). იმისათვის რომ მივიღოთ მასთან მარიდიული სიცოცხლის ძღვენი, ცელესტიალურ სამეფოში ჩვენს ოჯახებთან ერთად, ჩვენ უნდა შვძლოთ იმ სამეფოს კანონებით ცხოვრება (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 88:22).

ამ ცხოვრებაში მან მოგვცა მცნებები, რათა დაგვეხმაროს სათანადო თვისების განვითარებაში. მეათედის კანონი არის ერთ ერთი მოსამზადებელი მცნება. ამ კანონით, ჩვენ ვაძლევთ უფალს მთელი ჩვენი შემოსავლიდან ერთ მეათედს. ის არის საკმაოდ მარტივი, რათა ბავშვმაც შესძლოს მისი გაგება. მე მინახია ბავშვები, რომლებიც ეპისკოპოსს აძლევდნენ მეათედის კონვერტს, სადაც მათი დაგროვებული ხურდის ერთი მეათედი იყო ჩადებული.

ერთერთი კურთხევა, რომელსაც ვიღებთ მეათედის მთლიანად გადახდით, ეს არის რწმენის გაღრმავება, რომლითაც შევძლებთ უფრო ამაღლებული კანონებით ცხოვრებას. იმისათის რომ ვიცხოვროთ ცელესტიალურ სამეფოში უნდა დავიცვათ შეწირულობის კანონი. ჩვენ უნდა შევძლოთ იმის შეგრძნება, რომ ის ყველაფერი, რაც ჩვენ ვართ და რაც გაგვაჩნია არის ღმერთის.

არსებობს არანაკლებ სამი გზა, რომლითაც მეათედის სრული გადახდა, ჩვენ გვამზადებს იმისათვის რომ *ვიგრძნოთ* ის, რაც საჭიროა ჩვენთვის, რომ ვიგრძნოთ, რათა შემდგომში მივიღოთ მარადიული სიცოცხლის ძღვენი.

პირველი, როდესაც ვუხდით ჩვენს მეათედს ეკლესიას, მამაზეციერი ჩვენზე აფრქვევს კურთხევებს. ეს იცის ყველამ, ვისაც თანმიმდევრულად გადაუხდია მეათედი. კურთხევები არის სულიერი და ხანდახან ამქვეყნიური. ისინი მოგვეცემა ჩვენ იმ დროს და იქნება ისეთი, როგორაც განსაზღვრავს უფალი, იმის მიხედვით თუ რა იქნება ჩვენთვის ყველაზე კარგი.

როდესაც ვიღებთ ასეთ კურთხევებს, ჩვენი რწმენა იზრდება, რადგან ღმერთი არის წყარო იმ ყველაფერი კარგის, რაც არის ჩვენს ცხოვრებაში. ამით უფრო ადვილად ვხედავთ, შეწირულობის კანონი უბრალოდ ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველაფერი, რაც ღმერთის შექმნილია, არის მისი. ეს ჩვენ *გვაგრძნობინებს* მადლიერებას, რადგან ის გვთხოვს 10 პროცენტს იმისა, რაც უკვე მან მოგვცა. ამგვარად როდესაც

ეს მოგვეთხოვება, ჩვენ უფრო უკეთესად ვიქ-ნებით მომზადებული შეწირულობის კანონით ცხოვრებისათვის.

მეორე, ყველა ჩვენგანი, ვისაც თანმიმდევრუ-ლად გადაუხდია მთლიანი მეათედი, *გრძნობს* უფრო მეტ თავდაჯერებას, როდესაც ვთხოვთ უფალს იმას, რაც ჩვენ და ჩვენს ოჯახებს სჭირდე-ბათ. როდესაც ვიქნებით ერთგულნი ჩვენს მიერ დადებული მეათედის აღთქმისადმი, ის გვპირ-დება უფრო დიდი კურთხევებით დალოცვას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. (იხილეთ მალაქია 3:10). ასეთნაირად, მეათედის გადახდის ერთ–ერთი ყველაზე დიდი კურთხევა არის მომა-ვალისადმი ნდობა. რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი პირობები, საბოლოო ჯამში ყველაფერი იქნება ყველაზე კარგად. როდესაც ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მიერ დადებულ დაპირებებს, ის შეასრულებს თავისას. სიმშვიდის შეგრძნება არის მეათედის გადახდის ერთერთი უდიდესი კურთხევა. ვინც იცავდნენ ამ მცნებას, მათ შეუძლიათ დაამოწმონ, რომ სიმშვიდით კურთხევა არის ჭეშმარიტი და ძვირფასი.

მესამე ისინი რომლებიც იხდიან მეათედს, *გრძნობენ* მათ მიერ ღმერთისადმი და ყველა ღმერთის შვილებისადმი სიყვარულის ზრდას. ასეთი სიყვარულის ზრდა მოდის იმის შეგნებით თუ როგორ იყენებს მამაზეციერი მეათედს, რომე-ლსაც ჩვენ ვწირავთ ადამიანების საკურთხევლად ამ ქვეყანაზე და სამარადისოდ.

მისი სრულუფლებიანი მსახურებით, ის ზრუ-ნავს მეათედზე დიდი სიფრთხილით. მეათედის გადამხდელი ეხმარება უფალს ტაძრების მშენებ-ლობაში, სადაც ოჯახები შესძლებენ ჩაიბეჭდონ სამარადისოდ. მეათედის გადამხდელი ეხმარება მას სახარების გაგზავნაში ადამიანებისათვის. მეა-თედის გადამხდელი ეხმარება მშიერს მოუტანოს შვება და დატანჯულს, მისი წესით და მსახურე-ბის მეშვეობით. მისი მსახურებიდან ნებისმიერს შეუძლია მოგიყვეთ თუ როგორ გაიზარდა სიყვა-რული, რადგან მეათედი გამოყენებული იყო ადა-მიანების კურთხევისათვის და ეს ასევე, შეუძლია ერთგულ მეათედის გადამხდელს.

ერთ თვეში უნდა მოგვარდეს მეათედის საკითხი. მე ვლოცულობ, რომ თქვენ და თქვენი ოჯახი ეხლავე დაიწყებთ მომზადებას, იმისათვის რომ იყოთ შესაფერისი იმ კურთხევე-ბისათვის, რომლებსაც ღმერთი გადმოაფრქვევს ყველა იმათზე, რომლებიც წარსდგებიან მის წინაშე სრული მეათედის გადამხდელებად.

ამ მოწოდების სწავლება.

- ხანდახან ზოგიერთი პრინციპები სწავლებისათვის უკეთესია, რომ ვაჩვენოთ თვალსაჩინო მაგალითი (იხილეთ *Teaching, No Greater Call* [1999], 164). შეს-თავაზეთ ოჯახის წევრს თვალსაჩინოდ განმარტოს თუ რას წარმოადგენს ერთი მეათედი. მას შეუძლია გამოარჩიოს, რომელიმე საგნების ათ ნაწილად განაწილებული ჯგუფიდან ერთი. დასკვნისას შეს-თავაზეთ ოჯახის წევრს აჩვენოს თუ როგორ უნდა მეათედის ქვითრის შევსება.
- „ვისაც ასწავლით, მათთვის სასარგებლო იქნება მათი ერთობლივი მონაწილეობა“ (*Teaching, No Greater Call,* 63). სთხოვეთ ოჯახის წევრებს, რომ გაგიზიარონ თუ როგორ ესმით პრეზიდენტ აირინ-გის ნათქვამი „*ვიგრძნოთ* ის რაც საჭიროა ჩვენ-თვის რომ ვიგრძნოთ, რომ შემდგომში მივიღოთ მარადიული სიცოცხლის ძღვენი.“ შესთავაზეთ განიხილონ სამი მეთოდი, რომლის მეშვეობით მეათედის გადახდა გვამზადებს იმისათვის თუ რა უნდა ვიგრძნოთ, რომ მივიღოთ ღმერთის კურთხევები.

ახალგაზრდები

საკმარისი ფული

ფაბიანო დოს სანტოს დე სილვიას ამბავი

მე შევხვდი მისიონერებს, როდესაც ვიყავი 17 წლის. იმ დროს ჩემი უფროსი ძმა და მე ვცხოვრობდით ერთად. ერთი წლით ადრე დედაჩვენი გარდაიცვალა და გაჭირვებულად ვცხოვრობდით. როდესაც მისიონერე-ბმა მასწავლეს, მე ვხედავდი, რომ ეკლესია იყო ისეთი როგორსაც ვეძებდი, მაგრამ ჩემი მეგობრების ზეგავლე-ნის გამო კვირა დღეს არ მივდიოდი ეკლესიაში.

ერთხელ კვირის განმავლობაში, ვიყავი ეკლესიაში, როდესაც ტარდებოდა საეკლესიო ღონისძიება. მე მომგვარა დიდი სიხარული როდესაც ვნახე ახალგაზრ-დების მხიარული შეკრება, ერთად სიცილი და თამაში. მისიონერებმა ახალგაზრდებთან ერთად, გამოიყენეს

შესაძლებლობა, რომ ესწავლებინათ ჩემთვის სახარების გაკვეთილი და მე ისეთი უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ გადავწყვიტე მოვნათლულიყავი.

მაგრამ იმის შემდეგ, როდესაც გავწევრიანდი ეკლესიაში, მე მომიწია წინააღმდეგობების გადალახვა. მე ვიყავი ეკლესიაში ერთადერთი წევრი, რომელიც ვცხოვრობდი გარეუბანში ეკლესიიდან შორს. ჩემს არაწევრ მეგობრებს აღარ უნდოდათ ჩემთან ურთიერთობა. როდესაც ვიგრძენი სიმარტოვე, მე ვილოცე და ვიგრძენი უფალის სიყვარული.

ყოველ თვეს, მე ვიღებდი პატარა თანხას იმ ფონდიდან, რომელიც დედაჩემმა დამიტოვა. ძალიან ძნელი იყო ამ პატარა თანხით ცხოვრება. მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა ვყოფილიყავი მორჩილი. მე გადავიხადე მეათედი და ასევე მომიწია ტრანსპორტის საფასურის გადახდაც, იმისათვის რომ დავსწრებოდი სემინარს და საკვირაო შეკრებებს. მე არ მესმოდა როგორ მაგრამ თვის ბოლოს მე აღმოვაჩინე, რომ საკმარისი ფული მქონდა ამ ყველაფრის გასაკეთებლად.

მე ვიცი, რომ მეათედის გადახდით ვიყავი კურთხეული. ამ მცნების დაცვამ დამეხმარა, რომ მიმეღო უფრო მტკიცე დამოწმება, მემსახურა მისიაში და დამენახა კურთხევები, იმისათის რომ შევძლო მხარში ამოვუდგე ახალ წევრებს, რომლებსაც უწევთ წინააღმდეგობების დაძლევა.

ბავშვები

მე შემიძლია მეათედის გადახდა

მეათედის გადახდა ნიშნავს ჩვენი შემოსავლის 10 პროცენტის უფალისათვის მიცემას. წარმოიდგინეთ რომ სამი ბავშვი აკეთებს სამ სხვადასხვა საქმეს. ვიგულისხმოთ რომ ერთის შემოსავალი არის $1, მეორესი $2 და მესამე ბავშვის შემოსავალი არის $3, ჩამოწერეთ თუ რამდენი იქნება ყოველი ბავშვის მიერ გადასახდელი მეათედი.

დამატებითი შეკითხვა: რომელი მეათედის გადამხდელი მიიღებს ყველაზე მეტ კურთხევებს? (რჩევა: იხილეთ პრეზიდენტ აირინგის მოწოდების ბოლო პარაგრაფი.)

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, June 2011.* Georgian. 09766 131

ოჯახების განმტკიცება თვითუზრუნველყოფით

რწმენა • ოჯახი • მოწყალება.

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

მოწყალების საზოგადოების ყოველი დის პასუხისმგებლობაა, რომ განვავითაროთ თვითუზრუნველყოფის უნარი, რომ შევძლოთ უზრუნველყოთ საკუთარი თავი და ოჯახი. ჩვენ ვსწავლობთ თვითუზრუნველყოფას, როდესაც ვსწავლობთ შრომის სიყვარულს, როდესაც ვეძებთ შთაგონებას, რომ ვიპოვოთ უკეთესი საშუალება იმისათვის, რომ ვიყოთ თვითუზრუნველყოფილნი და როდესაც ვშრომობთ ოჯახთან ერთად მომჭირნეობისათვის.

როდესაც ვართ თვითუზრუნველყოფილნი, ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენი კურთხევებით და საშუალებებით, რომ თავი ავარიდოთ პრობლემებს. თვითუზრუნველყოფა უფრო მტკიცდება, როდესაც ვლოცულობთ სიმამაცისათვის რომ რწმენით შევხვდეთ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს, რომლებიც აუცილებლად მოვლენ. თვითუზრუნველყოფა ასევე გვეხმარება, რომ დავიცვათ დადებული აღთქმა მოყვასისადმი ზრუნვის შესახებ.

მოწყალების საზოგადოებაში, ჩვენ ვსწავლობთ თვითუზრუნველყოფის წესებს და უნარს, დებს შეუძლიათ ისწავლონ ბიუჯეტის შედგენა, ფინანსური ვალებისგან განთავისუფლება და სამსახურის პოვნა, წმინდა წერილები და სახარება, ასწავლიან ადამიანებს კითხვას და სწავლას, ტექნოლოგიებს, ფიზიკურ ჯანმრთელობას, მავნე ჩვევებისაგან თავის დაღწევას და გამოჯანმრთელებას, ავადმყოფობისგან თავის არიდებას, ასევე გაკაჟებას, საკვების წარმოებას და სამომავლოდ შენახვას, საგანგებო ვითარებებისათვის მზადყოფნას და ბევრ სხვა რამეს, რაც ჩვენ დაგვეხმარება, რომ გავხდეთ თვითუზრუნველყოფილები.[1]

ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, განგვიმარტავს „როდესაც ჩვენ ვზრუნავთ ჩვენ თავზე და ამასთან ერთად სხვა ადამიანებზეც, ეს არის იმის დამადასტურებელი, რომ ჩვენ ვართ უფალი იესო ქრისტეს მოწაფეები. როდესაც ჩემი დედამთილი გასულ წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, მან დაგვიტოვა თვითუზრუნველყოფილი ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითი. მას ჰქონდა მოქმედი სატაძრო რეკომენდაცია, კარგად შენახული წმინდა წერილები და სახარების სამეცადინო სახელმძღვანელოები. ჩვენ სიყვარულით გავინაწილეთ მის მიერ დატოვებული ქვაბები, ტაფები და თეფშები, რომლებითაც ის გვიმზადებდა ათასნაირ საჭმელებს. მან დაგვიტოვა საბნები, რომლებიც გაკეთებული იყო ძველი ტანსაცმელებისაგან. მას სწამდა ძველი გამოთქმის, გამოიყენე ბოლომდე, იხმარე მთლიანად. ჩვენ დავინახეთ საჭმლის მარაგი, რომელიც მას ჰქონდა შემონახული. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე მის მიერ შევსებულმა პატარა საბუღალტრო წიგნებმა, რომლებშიც წლობის განმავლობაში ბეჯითად იწერდა თავის ხარჯებს. ვინაიდან ის ცხოვრობდა მომჭირნედ, დედამთილმა დაგვიტოვა ცოტა ფულიც, რომელიც მას შემონახული ჰქონდა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის და არ დატოვა არანაირი ვალები! ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ის მთელი ცხოვრების მანძილზე, ასწავლიდა და შთააგონებდა ადამიანებს იმ ცოდნით და გამოცდილებით, რომელიც მან მიიღო მისი რწმენით აღსავსე ცხოვრების განმავლობაში.[2]

წმინდა წერილებიდან

იოანე 13:34–35; იაკობი 1:27; მოსია 4:26; მოძღვრება და აღთქმები 29:34–35; 38:30; 44:6

ჩვენი ისტორიიდან

მოწყალების საზოგადოების დები ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას იმ სამსახურში, რომელიც ისახავს სულების ამქვეყნიურ და სულიერ გადარჩენას. ყოველ კვირას ნავუს მოწყალების საზოგადოების წევრები იკრიბებოდნენ, დები აკეთებდნენ მოხსენებებს გაჭირვებული ადამიანების შესახებ. შემდგომ დები მათ ეხმარებოდნენ თავიანთი ნიჭით, შემოწირული ფულით, საჭმლით უთმობდნენ მათ დროს რათა მათთვის შეემსუბუქებინათ გაჭირვება. ამ ფუნდამენტალურ სამუშაოებს გაჭირვებულების დასახმარებლად მოწყალების საზოგადოება აწარმოებს თაობების განმავლობაში.

როდესაც წმინდანები მოვიდნენ სოლთ ლეიქის ველზე, პრეზიდენტმა ბრიგემ იანგმა (1801–77) ურჩია დებს, რომ დახმარებოდნენ მათ ვინც იყო გაჭირვებაში და ესწავლათ ის ხელობები, რომლებიც დაეხმარებოდათ თავიანთი თავის გადარჩენაში. მან სთქვა, „ისწავლეთ რომ შესძლოთ თავიანთი თავის შენახვა, ხორბალი დათესეთ, და მოსავალი შეინახეთ გაჭირვების ჟამისათვის.[3] მღვდლობის წინამძღვარობით, მოწყალების საზოგადოება დღესაც აგრძელებს მომჭირნეობის და თვითუზრუნველყოფის სწავლებას, რათა დაიცვას ოჯახი, შთააგონოს სამართლიანობა, მოწყალება და იესოს წმინდა სიყვარული.

შენიშვნები

1. იხილეთ *Handbook 2: Administering the Church* (2010), 9.4.2.
2. ჯული ბ. ბექი, „The Welfare Responsibilities of the Relief Society President," *Basic Principles of Welfare and Self-Reliance* (2009), 5.
3. *Teachings of Presidents of the Church: Brigham Young* (1997), 231.

1. როგორ შემიძლია დავეხმარო ჩემს დებს და მათ ოჯახებს, რომ ისწავლონ მომჭირნეობა და თვითუზრუნველყოფა?

2. როგორ შემიძლია გავაუმჯობესო, ჩემი თვითუზრუნველყოფა?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2011*. Georgian. 09766 131